პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის _ _ მარტი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს ანგარიში 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ვაჟა ჟორჟოლიანი

წყალტუბოს ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''

ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა, 1-ლი შესახვ.№2 ტელ. 577957111 ს/კ421271206

22-33-2-202603091618

N 33/22

09/03/2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბო ა(ა)იპ "ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის'' მიერ 2025 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი'' დაარსდა 2015 წელს. ცენტრი სრულად ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ.

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის'' 2025 წლის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 352300 ლარს. აქედან მესამე და მეოთხე კვართალში ათვისებულია 194959.24 ლარი.

ცენტრი ახორციელებს შშმ პირთა ზრუნვის პროგრამას. ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილების რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამას, ინტეგრაციას, ინკლუზიურ განათლებას.

ცეტრი ემსახურება წყალტუბოში და წყალტუბოდან 20 კმ-ის რადიუსში მცხოვრებ ბენეფიციარებს ცენტრის კუთვნილი მიკროავტობუსი.

ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით. თითოეული კვება სამ კომპონენტიანია. ხორცის და თევზის პროდუქტების შემოტანა ხდება კვირაში 4-ჯერ, ყოველდღიურად.

თითოეულ ბავშვზე გათვლილია კალორაჟი. მიღებული საკვების ნიმუშები 24 საათის განმავლობაში ინახება მაცივარში (უსაფრთხოების თვალსაზრისით).

ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, მუსიკალური ინსტრუმენტით, კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით, ლამინირების აპარატით, რომლის საშუალებითაც ხდება ბენეფიციარების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. ცენტრში ფუნქციონირებს ვიდეოთვალი.

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრში ''2025 წელში ირიცხებოდა 18 ბენეფიციარი, შემდეგი დაავადებებით:

1. დაუნის სინდრომი
2. აუტისტური სპექტრი
3. ცერებრალური დამბლა

4.გონებრივი შეზღუდვა

ცენტრში დასაქმებული იყო 19 ადამიანი.

2025 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში "ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში" ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. მოვაწყვეთ ბენეფიციართა ნამუშევრების გამოფენა.

2. ეტაპობრივად ვაწყობდით ბეეფიციართა გასეირნებას ქალაქის პარკში;

3. ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში ჩავატარეთ შემოდგომის დღესასწაულის ღონისძიება;

4. 3 დეკემბერს აღინიშა შშმ პირთა საერთაშორისო დღე.

5.ცეტრში ჩატარდა საახალწლო ღონისძიება და ბეეფიციარებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა საახალწლო საჩუქრები.

6. ასევე საახალწლოდ ცენტრს ესტუმრნენ სასულიერო გიმნაზიის წარმომადგენლები და ცენტრს გადასცეს საახალწლო საჩუქრები.

7.ბავშვთა იკლუზიურ ცეტრში ტრადიციულად ყოველთვის აღინიშნება თითოეული ბენეფიციარის დაბადების დღე.

8.ცენტრში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. შეიღება ოთახები, ოთახებში შეიცვალა იატაკი. შესრულდა მოშენებითი სამუშაო, ამოყვანილი იქნა ცალკე სანიტარული კვანძი, დამონტაჟდა საშხაპე, რომელიც განკუთვნილია პამპერსდამოკიდებული ბენეფიციარებისათვის.

9. ეზოში დამონტაჟდა ღია ფანჩტური, რომელიც განკუთვნილია ბენეფიციიარების სხვადასხვა აქტივობებისა და დასვენებისათვის.

ცენტრის ბენეფიციარები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობებში, სპორტულ ღონისძიებებში, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქცევის მართვას, ყოფითი , პროფესიული უნარების გამომუშავებას.

ცენტრის სპეციალისტები ყოველ ახალ აქტივობას მშობლებთან შეთანხმებით ავითარებენ. თითოეული აქტივობის განვითარება ხანგრძლივ პროცესს მოიცავს. შედეგის მიღწევას ზოგჯერ 1 წელი და მეტი ჭირდება.

ცენტრის ფსიქოლოგი, სპეც.პედაგოგი, მეტყველების სპეციალისტი, ხელოვნების, პროფესიული განვითთარების სპეციალისტები სოციალურ მუშაკთან ერთად, მოკლევადიან და გრძელვადიანი მიზნების შესრულებას ერთმანეთთან შეთანხმებით ახორციელებენ.

დღის ცენტრი ახორციელებს პროგრამას: "შშმ პირთა მქონე ბავშვთა დახმარება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.'' ხდება მომზადება მათი ინკლუზიური სწავლებისათვის, რაც

გულისხმობს სასიცოცხლო და წინარე აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებას და სტიმულირებას.

დღის ცენტრი ითვალისწინებს რეაბილიტაცია/აბილიტაციის გეგმას, სხვადასხვა თერაპიულ, შრომითი და სოციალურ აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს ბენეფიციარების სოციალურ-ადაპტაციური უნარების განვითარებას.

ცენტრის პედაგოგები განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან თითოეული ბენეფიციარის შესაძლებლობებს, მოტორული აქტივობების განვითარებას და ლოგიკური ქცევების მიმართულებას.

სენსორული წიგნები, ბურთები გვეხმარება ლოგიკური აზროვნების განვითარებაში, ხელოვნურად ვახდენთ იმ შეგრძნებების მიღებას, რასაც ბუნებრივად არიან მოკლებულნი.

ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში ფუნქციონირებს მშობელთა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი. მშობლებთან ხშირი კომუნიკაცია საშუალებას გვაძლევს სწორად მოვახდინოთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა, რაც სამომავლოდ აისახება თითოეული ბენეფიციარის განვითარებაზე.

მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად შემუშავებულია თითოეულ ბენეფიციართან ინდივიდუალური მუშაობის სამუშაო გეგმა, რომელიც შედგენილია მათი გონებრივი შესაძლენლობების მიხედვით.

მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი უნარების განვითარების მიმართულებით:

1.აკადემიური უნარები

2.მეტყველების უნარები

3. ქცევა.

4.ფუნქციური უნარები (ყოფითი უნარ-ჩვევები)

5.მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები

6.კოგნიტური უნარები

7.ემოციურ- სოციალური სფერო.

ორგანიზაციას უყურადღებოდ არ ტოვებენ კეთილი ადამიანები, „ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრს“ უსასყიდლოდ ემსახურებიან:

1.შპს „ჰიგია“ - ხელ-ი ც. გურეშიძე

2.შპს „ ერი“ - ხელ-ი რ. კუხალაშვილი

3. შპს “ფლაინეტი“ ხელ-ი - გ. ყუფარაძე.

2025 წელს ცენტრს სტუმრობდნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, წყალტუბოს საკრებულო, საფეხბურთო კლუბ „სამგურალის“ ფეხბურთელები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭო, სხვადასხვა ფიზიკური პირები, ახალგაზრდები.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ზრუნავენ ბენეფიციარების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათი კეთილდღეობისათვის.

ნინო ნემსწვერიძე

დირექტორი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • 33ლ0ᲔᲠᲝᲜᲘᲙᲘ/ᲮᲔᲚᲘᲡᲬᲔᲠᲐ